საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №4
2020 წლის 13 იანვარი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 10 ოქტომბრის №81 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,
ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 10 ოქტომბრის №81 ბრძანებით (ვებგვერდი, 11/10/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010320040.22.026.016531) დამტკიცებულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის მოხელეთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებში შეტანილ იქნეს ცვლილება და 27-ე - 37-ე მუხლები ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**